სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

18.07.2017 № 143

თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017 წლის 24 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);
2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესების მართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ.აბრამიშვილს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2017 წლის 26 სექტემბრისა;
5. 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2017 წლის 29 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი: ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე - რექტორი
**ლ. კლიმიაშვილი**

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
**ი. ლომიძე**

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
**ზ. მაისურაძე**

დანართი1

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (მაგისტრანტმა და დოქტორანტმა წინა საფეხურის დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: აღდგენის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე ________________ ლ. კლიმიაშვილი

## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

(სტუდენტის სტატუსის აღდგენა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | | |
|---|---|---|
| სახელი, გვარი | | |
| სტუდენტის პირადი ნომერი | | |
| განათლების საფეხური: | ❑ პროფესიული უმაღლესი<br>❑ მაგისტრატურა | ☐ ბაკალავრიატი<br>❑ დოქტორანტურა |
| უსდ, რომელშიც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე: | | |
| ფაკულტეტი, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე | | |
| სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვამდე გავლილი საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: | | |

| უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | | გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |
|---|---|---|---|

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტი: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შეფასება | საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების სრული ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
| | ECTS კრედი-ტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედი-ტი | აკადემიური საათი |
| **პირველი კურსი პირველი სემ.** | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ: | | | | | | |

| დასკვნა: | |
|---|---|
| ☒რეკომენდებულია აღდგენა | ❑ აღდგენა არ არის რეკომენდებული |
| | |

| შენიშვნა |
|---|
| |

| მიმღებ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |
|---|---|

| ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: ____

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი: ი. ლომიძე ____
ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი: ____ ____
ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: ____ ____
ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი: ____ ____
ხელმოწერა